საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ბრძანება № 108

ქ. თბილისი

08 11. 2013

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37_ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს N74/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დანართი N1_ის შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

ვახტანგ მეფიარიანი

დანართი N1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმნათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმნათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში (შემდგომში - სამსახური) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის წესს.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, ადმინისტრაციულმა ორგანომ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.
2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს სამსახურის საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთან ელექტრონულ მისამართზე registration@mandaturi.gov.ge ან/და სამსახურის ვებ-გვერდზე.
3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას უნდა ახლდეს:
   ა) ინფორმაციის მომთხოვნი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, თერთმეტნიშნა პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი;
   ბ) ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირის და ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი;
   გ) მითითება საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველი ფორმის შესახებ - ელექტრონული ფოსტის საშუალებით, კომპაქტურ დისკზე ჩაწერილი, მატერიალური სახით თუ დედანში გაცნობის გზით;
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი ელექტრონული ფორმით მოთხოვნა სამსახურის მიერ არ განიხილება.

მუხლი 3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ელექტრონული მისამართის (registration@mandaturi.gov.ge) მეშვეობით გადის რეგისტრაციას

სამსახურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow) და მომთხოვნს ეგზავნება რეგისტრაციის დადასტურება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების ათვლა დაიწყება მოთხოვნის ელექტრონული მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს.
3. თუ მოთხოვნილი ინფორმაცია მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილი იქნეს ელექტრონულად, სამსახური ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს მომთხოვნს და იტოვებს უფლებას მომთხოვნის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი გაცემა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისა და მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.